

რედაქცია

მედიკინის ქუჩაზე, პრეტე ჩიკეშვილის სახ-
ბელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ
редакціи газетъ „Дროება“.
გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, ებრაულს და
ცუხულს ენებზე;
განცხადების ფასი
დიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასობით-ყოველით,
სტრიქონზე — 8 კაპ., ცოცხალით — 5 კაპ.,
და პეტიტით — 4 კაპ.
ეს საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიაებს,
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირეულით, ოთხშაბათოვლით და პარასკეოვლით

ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

გომავალ 1877 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც წარსულს
წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდან „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დაახლო-
ებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-
პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი
გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკი-
დებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარ-
გებლო და საჭირო გაეხადოს ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

ხელის-მოწერა

მიიღება თ ი ლ ი ს შ ი — „დროების“ რედაქციის კანტორაში (მე-
დიკინის ქუჩაზე, პრეტე ჩიკეშვილის სახლებში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვი-
ლის და აშხ. სტამბაში (მანოის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თაფიანთი მოთხოვნისათვის ამ აღრესით უნდა გა-
მოგზავნონ: Въ Тифлисѣ, въ редакціи газетъ „Др о е б а .“

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირობებთან
შეიძლება:

შუთაისში — სე. მესხთან (სილაზე), ფოთში — თ. ანტ. ლაშ. ნაკაში-
ძესთან და მლ. ბაბალოვთან, ახალ-სენაქს — ნიკ. დგებუაძესთან, ვიზიბუღის —
თ. ტარ. ალექ. ლადიანთან, ოსურბეთის — ანტ. ჯაყელთან, შირში-
ლაში — მ. ლავ. ლაშაშვიდსთან, გორს — ალალო მთუავეთან, სიღნაღს —
ნოსებ სულხანოვთან და თელავს — თ. ლევან ჯანდიერთან.

Table with 2 columns: Subscription type and Price. Includes entries for 'გაზეთის ფასი', 'წელიწადში', 'ნახევარ წელიწადში', 'სამის თვისა', and 'ერთის თვისა'.

ამჟამ საჭიროთი ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისი-
ათ არაფრის არ გააგზავნება გარდა იმ პირობისა, რომელთათვის
პასუხის-გებას თვითონ „დროების“ ახმარებელი იქნის.

მთხოვეთ ჩვენ მომავალ ხელის-მოწერაზე, რომ თაფიანთი მოთხო-
ვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი აღრესების დაბეჭ-
დეა დაგვიანდება; ვითხოვეთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერა სახელი, გვ-
რი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველ-
თვის, როცა აღრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ის რედაქციას.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი
რედაქტორი ს. მესხი.

სამართლებლო

საზოგადოება და იმის მოთავენი

რომლისაშე ხალხისა ანუ საზოგა-
დოების ყველა წევრი რომ ერთნა-
ირად გონება-გახსნილნი და ერთის
მიმართულებისანი იყვნენ შეუძლებე-
ლია; შეუძლებელია, რომ ხალხში
ყველას ერთნაირად ესმოდეს თავის
ქვეყნის სიკეთე, ერთნაირად გონების
ძალით ხედავდნენ იმ გზას, რომელ-
საც, იმათ ქვეყნის წარმატებისათვის
და იმათ თანამომკვეთ ბედნიერებისა-
თვის, ყველაზე უფრო მოკლე და
სწორი გზაა.

ყოველთვის და ყველგან, სხვა და-
სხვა ბედნიერ გარემოებათა წყალო-
ბით, ხალხში გამოჩნდებიან ხოლომე
ისეთი პირები, რომელნიც, თავის გო-
ნების სიმჭირაბითა და ტვინის ძალით,
დანარჩენ თავის თანამომკვეთებზე
წინ დგანან, რომელნიც სხვებს წინ

მიუძღვიან და საზოგადო კეთილ-დღე-
ობის მისაღწევნელად სწორს გზას
უჩვენებენ.

ამისთანა პირნი შეადგენენ ხალ-
ხის საუკეთესო ძალას; ისინი, იქნება,
არც ხევენ, არც სთვსვენ, არც ეა-
ჭრობენ და არც ჩინოვნიკობენ; მა-
გრამ, თუ კი მართლაც საზოგადოების
მოწინავე პირნი არიან, თუნაშედიოდ
გული შეატყევათ თავის ქვეყნის სი-
კეთისათვის, დარწმუნებული იყავით,
რომ ამათი გაელენა ხალხსა ცხო-
ვრებაზე ყოველთვის შესამჩნევი იქ-
ნება და მთელს იმათ ქვეყანას, აღრე
თუ გვიან, დაეტყობა.

ბევრ გვარი უნდა იყოს იმათი
შრომა და შედომკმედება, გაელენა
საზოგადოებისათვის; — ეს იმაზედაა
დამოკიდებული, თუ რა ხალხში, რა
დროსა და როგორ გარემოებებში
მოქმედებენ ეს მოთავენი. არის დრო,
როდესაც მოწინავე საზოგადოების
მთელი ყურადღება თითქმის მართლ

ხალხის ცხოვრების პოლიტიკურ მხ-
არეზე უნდა იქმნეს მიპყრობილი;
არის დრო, როდესაც ეკონომიურ
ცხოვრებაზე ზრუნვას უნდა მიეცეს
უპირატესობა; აგრეთვე სხვა დროს
პირველად ავტომატურად გონების
განათლებლისა, ანუ სამოქალაქო ცხო-
ვრების გაუმჯობესობას, ანუ სახელ-
მწიფო მხრის გაძლიერებასა და სხვ.
უნდა ქვიროს. რასაკვირველია, ყვე-
ლა ეს სხარეები ხალხის ცხოვრები-
სა ერთობ მკვიდრად არიან ერთმან-
ეთსზე დამოკიდებულინი, ერთობ გა-
დახლართულნი არიან ერთი მეორე-
ზე ასე, რომ ერთის რომლისაშე
მხრის ყურადღებაში მიღება და მეო-
რესი სრულიად დაიწყება შეუძლებე-
ლია; მაგრამ ჩვენ კიდევ მაინც იმას
ვაშობთ, რომ ხალხის მდგომარეო-
ბაზე, დროზე და გარემოებებზე და-
მოკიდებულია — თუ რომელ ამ მხარე-
თაგანს საზოგადოების მოწინავე
პირთა უპირატესი ადგილი უნდა მის-
ცენ.

მაგალითები ცხადია აგვისხნის
ამას:

წარმოდგინეთ, რომ რომელიმე
ხალხი მშვიდობიანად ცხოვრებს და
რიგზე განათლებულიც არის. მაგ-
რამ საზოგადო ცხოვრება იმ ნაირად
დაარსებულია და განწყობილია, რომ
ერთი წოდება საზოგადოებისა მდიდ-
რულად, ბატონურად ცხოვრებს, ოქ-
რო-ვერცხლში ჩაფლობილია და მე-
ორე კი, ამავე დროს, ოფლსა ღერის,
შრომობს და შიმშილით კი სული
სძვრება.

ამისთანა დროსა და მდგომარე-
ობაში მოწინავე პირების ვალია,
რომ ხალხის ეკონომიურ საქმეებზე
იზრუნონ, ლუკა-პურის უფრო სა-
მართლიანად, უფრო თანასწორად გა-
წილადებან.

ანუ მეორე მაგალითი: რომელ-
სამე ხალხს, ესთქვათ, უფროად მტე-
რი დაესხა თავს და ქვეყნის აკლე-
ბასა და აზრებას უზირებს.

რად თქმა უნდა, რომ ამ შემთ-
ხვევაში მოწინავე საზოგადოებამ წერი-
მადი ეკონომიური ინტერესები უნ-
და დაიწყოს და მთელი თავის ძა-
ლა და გაელენა იმაზე უნდა მოიხ-
მაროს, რომ ხალხის ქვეყანა და
თვით-არსებობა სამხედრო ძალითვე
მტრისაგან დაიცვას.

ასე, ყოველს დროს, ყოველს
მდგომარეობას თავის მოთხოვნილე-
ბა, თავის საჭიროება აქვს და ამის
ჩვენება მოწინავე საზოგადოების ვა-
ლია; იმის ვალია ყოველი შემთხვე-
ვით, ყოველი გარემოებითა და ძა-
ლით ისარგებლოს, რომ თავის სა-

ზოგადოებას რაც შეიძლება მომე-
ტებული საზოგადოება მოუტანოს და
ხალხი რაც შეიძლება უკეთესის, უ-
მოკლესის გზით მიიყვანოს კეთილ-
დღეობამდე.

ხალხი ინსტიტუტით, ყნოსით იც-
ნობს თავის მოკეთესა და მხრუნ-
ველს, და თუ ვერ იცნობს, თუ თავის
მომხედ ვერ აღიარა, — ეს იმას
ნიშნავს, რომ ეს მოკეთე ფუჭი
მოკეთე ყოფილა და საზოგადო საქ-
მის წაყვანის არ-მცოდნე.

ს. მ.

დღიური

ჩვენ მივიღეთ ალექსანდროპოლი-
დამ (ბუმბრიდამ) შემდეგი წერილი:

„როგორც თქვენც კარგათ იცით-
ამ მხრიდან სამოქმედებლათ ომიანო-
ბის დროს რუსეთმა გამოგზავნა აქ
ჯარი, რიცხვით-მახლობლად ორმო-
ცი ათასისა და დააბარგა თავ-დაპირ-
ველათ მდინარის პრეტის ნაპირზე —
ასე ვერს ნახევარზე ალექსანდრო-
პოლიდამ. მაგრამ რადგან ზამთრის
შუქი დიდხანია მოგვადგა (ორი
დღეა — რაც აქ თოვლი მოდის) და
აქედამვე დაიწყო სიცივეები, სალდა-
თებს ძლიერ გაუჭირდათ გაძლება ამ
გვარ პირობაზე; ამისთვის ერთს
ნაწილს ჯარისას მისცეს სადგომი
თვით ქალაქში — მცხოვრებლების
სახლებში, ვისაც ალაგი ჰქონდა; მე-
ორე ნაწილი კი გაგზავნეს ქალაქის
ირგვლივ ახლო სოფლებში.“

„აქ ამობენ, ვითომც შაბათს,
ექვს ამ თვეს მიუღიათ აქ ტელე-
გრაფმა, რომელშიაც იყო ნათქვამი:
რუსეთმა თამამათ დაუდგა სტოლო-
ზედ „ავათყოფ კაცს“ პირობა-
ბიო, რაზედ თანხმობა ძლიერ გა-
ჭირდება.“

„ამ დღეებში ელიან აქ ლორის-
მელიქივს, რომელიც არის დანიშ-
ნული სამხრეთის ჯარის უფროსათ.“

* * *

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია
აღრესები, რომელნიც პეტერბურღის-
სა და მოსკოვის თავად-აზნაურობასა
და ქალაქის საზოგადოებას წარუდ-
გენია ხელწიფე-იმპერატორისათვის.
ადგილის უქონლობის გამო, ჩვენ
ვერ მოგვყავს სრულად ეს აღრესები;
იმათი უმთავრესი ჰაზრი კი ეს არის,
რომ, თუ საჭიროება მოითხოვს და
გვიბრძანებ, ხელმწიფეო, ჩვენ მუდამ
მზათა ვართ შენს ბრძანებას უმდა-
ბლად, როგორც ერთგულ ქვეშე-
რდომთ შეეფერება, დავემორჩილოთ
და ჩვენი ქონება და თვით სიცოც-
ხლეც შენა და სამშობლოს შემოგ-
წიროთო.

* * *

თფილისის ქალაქის რჩევამ ამ ოთხშაბათის სხდომაზე (ორშაბათის მაგივრად იყო ეს სხდომა) გადაწყვიტა ერთხმად, სხვათაშორის, შემდეგი:

ქალაქი იკისრებს ყველა ხარჯს, რაც რუსეთიდან მოსულ ჯარს, თფილისში დროებით გაჩერების დროს, სახლის, შეშისა და განათებისათვის დასჭირდება. ეს ხარჯი იმ ჯარისათვის, რომელსაც ამ მოკლე ხანში მოვლიან აქ (ამბობენ, 60,000-მდინ უნდა მოვიდეს), დაახლოებული გამოანგარიშებით შეადგენს არა ნაკლებ 16,000 მანეთისა.

ამას გარდა ამავე სხდომაზე რჩევამ შესწირა 1,500 მანეთი სამაზრო ბამბეობასთან შემდგარს ქალების კომიტეტსა და 1,500 მანეთი ღატორილთა და ავთომყოფთ მხედართ მხრუნველ საზოგადოებას.

* *

ეს თათრები ხო თათრები არიან: აწუხებენ და მოსვენებას არ აძლევენ სოფლის ხალხს, საცა კი დგანან უფლებებში; მაგრამ ძალიან ხშირად იმათ ხელობას, როგორც ამბობენ, თვით წესიერების დამცველნი ჩაფრები ჩადიანო. მომეტებული ნაწილი ამ ჩაფრებისა ოსები არიან და საცა კი ცხვრის ფარას ან სოფლების სხვა რამ საქონელს იხელთავენ, არ დაზოგავენო. თითო რალაც ხრიკსა და მიზებს მოუღებენ მწყემსებს, წაართმევენ, საღმე მიყრუებულ ადგილს თავს შეისაფრავენ, დაჰკვლენ და შიირთმევენო. ხალხს ისინი მთავრობად მიჩნია და ხშირად უფედის უფროსთანაც ჩივილი ვერ გაუბედნია, რადგან იცისო, რომ ამ ჩივილის შემდეგ კიდევ უფრო შეაფრებენ იმას ეს ჩაფრებიო.

შეზღის უფროსების ყურადღება მიგვიქცევი ამ გარემოებაზედ.

* *

სურამილამ გვეწერენ, რომ მას აქეთ რაც ჩვენი გამოჩენილი მომრიგებელი მოსამართლე — უფ. სალაკვი გადაბანანს აქედამ, ჩვენ ცალკე მოსამართლე აღარა გვეყავს, აქაური საქმეების განხილვა ბორის მომრიგებელ მოსამართლეს აქვს მინდობილიო. „ეს მოსამართლე თვეში ორჯელ მოგვხვდება; ორი დღე დარჩება ხოლმე და ამ დროს რაც ორი კვირის განმავლობაში საქმე, საჩივარი ან შემთხვევა მომხდარა, ყველა უნდა გარჩიოს, და გასამართლოს. ამ გვარ მსწრაფლი გარჩევის დროს, რალა გასაკვირველია, რომ ყოველ საქმეს ჯეროვან ყურადღებას ვერ მიაქცევს და ხალხიც ხანდისხან დაუკმაყოფილებელი რჩება.“

* *

სურამილამვე გვეწერენ, რომ, თუმცა ჩვენი დაბა ასე დიდი დაბა არისო, მაგრამ დღემდე აქ, სომხურ შკოლის გარდა, სხვა სასწავლებელი არ არისო, და კაცი არ ამოგვინდა, რომ ეს კეთილი საქმე ძთავოსო. მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ თვითონ აქაური მღაბიო ხალხიც საზოგადოთ როგორღაც განზე და არა კეთილის თვალთ უყურებს შკოლასაო; ამას

წინათ, ერთს ნაცნობ გლესს ვკითხეო, იწერება ჩვენი კორრესპონდენტის; ამოდენა ქალაქია ეს სურამი და რატომ ერთი შკოლა ვერ გაგამართავთ-შეთქი? ამ კითხვაზე გლესმა მიპასუხა: „მთეი ხო არა ვარ, რომ შკოლისთვის ვიზრუნო! შეილი რომ სწავლული გამომივიდეს, ხო ადუკატი შეიქნება და ამ ადუკატებისაგან ხო ახლაც ტყავი გამძვრალი გვაქვს!“

* *

პრთი ახალი განყოფილება მიუმატა „ქაქასის“ რედაქციამ თავის განხეთს, რომელსაც სახელად ჰქვიან „თფილისის დღიური“ (Тифлисский Дневник), და რომელიშიაც იბეჭდება სხვა-და-სხვა წერილი ამგები ჩვენ ქალაქის ცხოვრებიდამ. სამს უკანასკნელს ნომერში იყო ეს განყოფილება შედგენილი და თუმცა ამ „დღიურის“ რედაქტორმა ორჯერ გადმოგვკრა ჩვენ, მაგრამ არ შეიძლება არ გავეტყდეთ, რომ ეს განყოფილება ჩინებულად არის შემდგარი და რალა თქმა უნდა, რომ მკითხველები ამ განყოფილებას უფრო ბლომად ეყოლება და უფრო მომეტებულის ინტერესით წაიკითხვენ, ვიდრე ამავე განხეთის რედაქტორის უფ. სტალინსკის მრავალწერტილოვან, მაგრამ მცირე-ჭაზროვან ფელტონებსა და სრულებით უაზრო და უკუღმა მოწინავე სტატიებს..

* *

გაზეთი „ქაქასი“ გვეცნობებს, რომ თფილისში (უფ. ბერეშტაშის წიგნის მალაზიაში) მიუღიათ ორი ფრანციზული წიგნი, რომელნიც ჩვენ ქვეყანას შეეხებიან. ეს წიგნები არიან, ერთი: „Le Caucase, la Perse et la Turquie d'Asie,“ par le baron Ernouff, avec une carte et vingt gravures. Paris, 1876.

მეორე: „Les danseuses du Caucase“ par Emmanuel Gonsales, avec politipages. Paris, 1876. („ქაქასია, სპარსეთი და აზიის მსმაღელი“ — ბარონ მრნუფისა, ერთის კარტით და ოცი სურათით. პარიჟში დაბეჭდილი 1876 წ. — „ქაქასიის მოცეკვარნი“ — მანუელ მონზალესისა, ნახატებით. პარიჟში, 1876 წ.).

თერგის ქვეყანა

(მოკლე ეტნოგრაფიული მიმოხილვა)

თერგის ქვეყანა განიყოფება ხუთ ნაწილათ: — პირველი ნაწილი არის შალდიკავეკასის მაზრა, მეორე — ბიორგიევესკისა, მესამე — პიატიგორსკისა, მეოთხე — ბროზნისა და მეხუთე — შიხლარისა.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში შემთხვევით დავიარე ოთხი მაზრა ამ ხსენებულთაგან და მიიდა ახლა თქვენს მკითხველებს წარუდგინო მკრთალი სურათი მაინც არის აქაური ბუნებისა და ხალხისა. შემდეგისათვის მე ვაზადებ უფრო ვრცელ წიგნს, რომელშიაც შეძლებისა დაგვარად მიიდა უფრო დაწვრილებით აღწერო რო-

გორც ეს ქვეყანა, აგრეთვე აქაური ხალხების ყოფა-ცხოვრება, ჩვეულებანი, ხასიათები და სხე.

მრიოდ სიტყვას ვიტყვი ჯერ ამ ქვეყნის დედა-ქალაქზედ, რადგანაც ნათქვამია, რომ „დედა ნახე, მამა ნახე, შეილი ისე გამოჩანეო!..“

შალდიკავეკასი მდებარებს სამხედრო საქართველოს გზის შემოსავალ ყელში, ვაკე ადგილას. სიმგრავლი ქალაქი ექნება ზემოწვევით თხუთმეტიდამ ოც ვერსამდის. ხმელეთის გზით აქეთ ჩაშოვილის ჩვენსკენ გამომგზავრებული ვეროპის და რუსეთის განათლება (ცივილიზაცია) და თქვენ აქაურების გულკეთილობა გაშინჯეთ, ჩვენ საქართველოს სასარგებლოთ, რომ თავიანთის ჯერ ბაქა არ იღებენ!.. შუა ქალაქში ჩამომდინარებს ხნერი გასათხოვარი ქალივით აჩხლი, შფოთიანი თერგი.

ქალაქი განიყოფება ორ ნაწილათ ვეროპიულის და აზიურის ხასიათებით. აღმოსავლეთის მხარეს სცხოვრობენ ოსები, ძალიან ბინძურათ; დანარჩენ ქალაქის ნაწილებში არეულ-დარეული არიან ყველა ნაირი ყალიბის ხალხნი, და არც ამათშია შესანიშნავათ გიგინურის მხრით სიტუქიზის წესი დაცული.

საუკეთესო ნაწილს ქალაქისას შეადგენს ალექსანდროვის ქუჩა.

შეგ ქალაქშია სცხოვრობს თერგის უფროსი თავისის შტაბით, გამგობით, სტამბით და სხე... ქალაქსა აქვს საზოგადო ბანკი და ჰყავს ბამგობა (ქალაქის რჩევა). იყოფება ხაზინა, მომრიგებელი მოსამართლეები, ძალიან უხვიროთ განწესებულები, ოლქის სასამართლო, მომრიგებელ მოსამართლეთ კრება, (მირაფიი სიგნდი), ზამთრობით გაჩაღებული კლუბები და თეატრი, ზაფხულობით საზაფხულო ბალი—როტონდა; სასწავლებლები: გიმნაზია, სამხედრო პროგიმნაზია, ლორის-მელიქოვის სახელოსნო სასწავლებელი, საქალბო სასწავლებლები და სხვა მრავალი კარგი და ავი დაფუძნებანი..

შალდიკავეკასის დასამხრეთის მხარეს ს. პრდონის მხრისკენ დაყოლები ოსები სცხოვრებენ. მდინარე შალკის მარჯვენა მხრისკენ ჩაშწკრივებულია კაბართოვლების აულები (სოფლები), ხოლო მარცხნივ-კი ყაზახების სტანიცები (სოფლები). ამათ ერთი ერთმანერთში მისელა-მოსელა აქვსთ, მაგრამ გულით კი ისე არიან როგორც ძალი და კატა.

ამ ცოტა ხნის წინათ მდინარე შალკა მიჯნათ იყო ქაქასიისა და რუსეთის შორის შესახებ ჯამაგირების განსაზღვრებისა ასე, რომ შალკას იქით მოსამსახურე პირნი სამხედრო და სამოქალაქო უწყებისანი რუსეთის კვალობაზედ ღებულობდნენ ჯამაგირს და შალკას აქეთ-კი, ესე იგი ქაქასიის ორივე მხარეს, ქაქასიის კვალობაზედ — ერთი-ორათ.

თავის დროზედ, მარტო მდ. შალკის მარჯვენა მხრის მცხოვრებნი არ

შეადგენდნენ ძაბარდოს, რომელი შთე-ლი პიატიგორსკის მაზრაში მდებარე-

ბარდოს ეკუთვნოდა, ვიდრე იალბუხის მთამდის, სადაც ეხლაც ვტყობა იმათი ცხოვრების კვალი ზოგიერთ აოხრებულ ნასოფლარებს; ახლა მხოლოდ-ღა შექვდ დასძული სასაფლაოა ქვები-ღა მოგვაგონებენ იმათ ოდესმე არსებობას... ამას გარდა მოზდოკისა და მაჭამედ-იურთის არე-მარეც ძაბარდოს ეკუთვნოდა და ეძახიან ეხლაც „პატარა ძაბარდოს.“ ამ პატარა ძაბარდოში, სახელდობრ მოზდოკში, დასახლებულ ქართველებზედ ამას წინათ მქონდა მცირე-დი ლაპარაკი „დროებაში“ და ვგრეთვე ჩვენს ერთ პატივცემულ მოზდოკელ კორრესპონდენტსაც. ამ საგანზედ თუმცა კიდევ მაქვს სათქმელი, მაგრამ სხვა დროს.

ამ მხრის მცხოვრებლები არიან: ჩერქეზები, ოსები, ქისტები, კოლონისტები-ნემცები, რუსები-ყაზახები, რუსები-გლეხები. შეგ ქალაქში ურიებიც ბლომათ არიან და სომხებს ხომ რალა გამოაკლებს ამათში. ქალაქის შენობა თან-და-თან ვრცელდება და უმჯობესდება.

ბიორგიევესკი თავის მაზრით მდებარეობს შალდიკავეკასიდან დასავლეთის მხარეს. მდებარეობა არის ბარი (ვაკე) ადგილი, ტყე ძალიან ნაკლებათ ასე, რომ კაცი ას ვერსს და მტსაც გაივლის მინდერათ, რომ ერთ ძირ ხეს ვერ შაჰხედება სიცხეს თავი შეაფაროს. ამ უტყეობისა და უშეშობის გამო, აქ წივასა (გამხმარ სასუქს) სწომენ. წივით გამომცხვარ პურსა და მოხარშულ საქმელს ისეთი გემო გამოსდევს, რომ უჩვეველი ერთი კვირა მაინც გაჯახირდება შიმშილით, ვიდრე შეეჩვეოდეს.

ბიორგიევესკის იარშლოკა აქეთ მხარეს ყველაზედ შესანიშნავია ვაჭრობით.

ამ მაზრის ჩრდილოეთის მხარეს მდებარეობს პროსკოვენ, სადაც ღენის მოსავალი იცის ძალიან უხვად, მაგრამ ისევე მამა-პაპურათ-კი უფლიან და აყენებენ. საზოგადოთ, დაწყებული მოზდოკიდან ჩაყოლება შიხლარზედ, ვიდრე ქაპაიის ზღვის ნაპირამდე მევენახეობას მისდევენ.

მცხოვრებელნი არიან: ჩერქეზები, რუსის-ყაზახები და გლეხები, ნოღა-ელები, კოლონისტები-ნემცები, სომხები, მოვაჭრე ურიები და სხ... როგორათაც ზოგიერთნი ამ თემისა ვგრეთვე აქსაიელი, ახალ-ნახიჩეველი, როსტოველი-დონზედ და სხვა მცხოვრები სომხები, როგორც თითონ დამარწმუნეს, არიან გადმოსახლებულნი იმპერატრიცა მკატრიონა მეორეს მეფობის დროს.

რაც შეეხება პიატიგორსკის მცხოვრებლებს და მის მადნულ სამკურნალო წყლებს, ამაზედ საკმაოდ იყო ნათქვამი „დროებაში“.

პიატიგორსკის გარემო ბევრნი კოლონისტები-ნემცები ღგანან და კარგი შეძლებისანიც არიან საზოგადოთ, დანარჩენი მცხოვრებნი აქ არიან: რუსის-ყაზახები და გლეხები, ჩერქეზები, ნოღაელები, მოვაჭრე ურიები და სომხე



პატივგორსკის ახლო-მახლო სოფლებში ძალიან კარგი ხილი იყის, მაგალითად: ვაშლი, მხალი, ვეღვის ვაშლი, შავი ქლიაფი, ლოდნოშო, დამასხი და სხ... მაგრამ გემოში და გაძღვებაში ჩვენებურ ხილს ძალიან მორს ჩამორჩება.

ბ. ბრემელი
(დასასრული შემდეგ №-ში)

„ღ რ ო მ ბ ა“ კორამსკონდენსია

საგარეჯოღბან, ნოემბრის 4-ს 30 ოქტომბერს სოფელს ს გარჯოში მოვიდა მთელისის ახალი უფბის უფროსი თავადი პრატი ჩოლოყაშვილი. ამისი მოსვლის მიზანი ის იყო, რომ გეცნო თავისი მახო და ხალხი და გაეგო მათი საქაროება.

იერის ხეობის ხალხი შეიყრა თავი თავიანთ მამასახლისებით და მსაჯულებით. აი გამოვიდა უფროსი და დაიწყო ამ სიტყებით: „მე ვარ თქვენი ნაჩაღნიკა, მსურს გაგეცნოთ და გამოცნოთ!“

ამის შემდეგ უბრძნა, ყველა სოფლის ხალხი თავ თავიანთ მამასახლისებით და მსაჯულებით ცალ-ცალკე დამდგარიყვენ, რომ უფრო აღვიღალ შესძლებოდა მათი გაცნობა. ასეც დადგნენ. პირველად დაუწყო საუბარი გარეჯილების კრებას:

— გარეჯილებო, როგორა ხართ! ხომ არაფერი შევიწროება არა გაქვთრა? გარეჯილებმა მიუგეს:

— მართ, შენი ჭირიმე, როგორც შეეფრება გლეხ-კაცებს, მაგრამ დიდი შეწუხება გვადგია ამ თათრებისაგან. მრთი-ორიოდ სოფელი თათრებისა ჩამოხხირებულია იერის ხეობაზედ, იმათი შიშით შინდორში მწყემსებს საქონელი ვეღარ გაურეკიათ; გუთანს რა გამოუშვებთ, საქონელი თუ სოფელში არ ამოვრეკით და თუ როგორაე მოხდა, შინდორში დავაყენეთ ღამე დგომით, მაშინვე დაესხიან თათრება და ორსამ გუთნეულს ერთად გარეკავენ.

— აგრეთი ტაციობა უფრო დღისით ხდება ხოლმე, თუ ღამით?

— სულ ერთია იმათთვის, შენი ჭირიმე, თუნდ დღე იყოს, თუნდ ღამე; მოასწოებენ მწყემსებს თუ არა, ჩობახებით მიგვაკვდარებენ და საქონელს წასახაფენ.

— აგრეთი ქუადობა სოფლათაც არის, თუ მარტო შინდორათ?

— სოფლ-თაც, სოფლ-თაც, შენი ჭირიმე. ხან ცხადლივ და ხან ქურდლივ იკლებენ სოფლებს; რამდენი ვაჟ-კაცი გაგვიფუტეს იმ წყაულებიმა! შას წინეთ ერთი პატარძელული კაცი მოკლეს...

— მე არის თქვენი შეწუხება? სხვა ხო არა გაქვთრა სათქაილი?

— მე არის, ვგ, შენი ჭირიმე, მაგის მეტი რაღა გიხოვოთ.

შემდეგ ჰკითხა ნინო-წმინდელებს, გიორგი-წმინდელებს, მარია-ჯვარელებს, თხლასურულებს, მანაველებს და პატარძელულებს, ყველამ იგივე მოახსენეს, რაც გარეჯილებმა, მხოლოდ ყველანი ერთ-ხმით ვიღაც ალია-თათოს უჩიოდნენ, ვითომ იმას ყასითად ჰქონდეს იჯარით აღებული ცოტარადე ადგილი ტყის მცველისაგან, (ღენიჩიღან) იერის ხეობის სოფლების მახლობლათ, ამის გამო ბინათ აქეს მოკიდებული ამ ადგილში და აქედან გზავნიდეს თათრებს სოფლებში და აპარენებდეს საქონელს.

ამის შემდეგ უფროსმა გამოჰკითხა ხალხს, თუ რომელი სოფლის ცხვარი საზაფხულოთ რომელ მთებზედ მიდის ხოლმე. შევლა ეს კარგათ

შეიტყო და მერე დაიწყო ყველასთან საერთო საუბარი ამ გვარი:

— თქვენ იერის ხეობაში მცხოვრებნი შეადგენთ 2,000 კომლს მეთეს; მხოლოთ თათრები ოთხმოც კომლს. როგორ ხდება, რა რა არის მიზეზი, რომ ოთხმოცი მცხოვრები თათარი ბრიყვობს ორ-ათს მეკომურ ქართველებს? საქონელს სტაცებენ, სოფლებშიაც შემოღიან და ქურდულათ იკლებენ სოფლებს?

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, ჩვენც მაგას არ მოგახსენებთ!

— მაშ თუ თქვენ არ იცით, მე გიტყვით მ ზ ზს: თავი მიზეზი ის არის, რომ ქართველებში აღარ არის ის ძობა, ის ერთგულება, ის ერთობა და ის დანდობა, როგორც იყო ამას წინეთ. მხლა რა ერთს იკლებდნენ, ჰყვიროდნენ შემწეობას, და მორგეს ესმოდს, იმალება და ნიშნაც უგებს მებობელსა, მეორე მიზეზი არის კიდევ მოხელეების დუდიერობა და მათი უფხუნლობა. მთქვათ, ასეთი გაჭყვრება დაადგა ეისმის, შეტყობინეს მოხელეს, მოხელე წელ-წელა იძერას; მანამ ის კაცებს იშოვიდეს, მანამ რამდენჯერმე მიშალავენი მოტაცებულს საქონელს. მათრებმა ესენი კარგათ იციან; კარგათ აქეთ გაგებული თქვენი დაუდეგობა და უთვის-ტომობა, ამითი ისინი სარგებლობენ და ორითას მცხოვრებლებს იკლებენ, როგორც უნდათ. აბა მოხელეები ფხუნლათ იყვენენ, აბა თქვენ ყველას ერთობა ჰქონდეთ და ყოველ გაჭივრებაში ეხმარებოდეთ ერთმანეთს, მაშინ ნახამთ, თუ თათრები ბუხს-ლა აგფრენენ. შევლა მოხელეს უნდა ჰყვოდეს ამორჩული რამდენიმე კარგი ვაჟ-კაცი და მაგისთანა შემთხვევაში მსწრფლად გამოეციდეს ავაზაკებს და დაიჭირონ...

— ბატონო, კიდევ მაგისი გვეშინია: ავაზაკი დაიჭრეთრა? არა, როგორ დ ვიჭროთ, რომლებიც იარაღებით არიან შეღესილები და თავი სასიკედილოთ აქესთ გადადებული! დასატრათ მივიწვიეთ, მაშინვე თოფს გვესვრიან, არა და წასხმენენ; რამდენჯერ გვიყურებია თვალით, ჩვენი საქონელი მიუდიოდათ და ახლო ვერ ვიკრებოდით.

— ბატონო, კიდევ მაგისი გვეშინია: ავაზაკი დაიჭრეთრა? არა, როგორ დ ვიჭროთ, რომლებიც იარაღებით არიან შეღესილები და თავი სასიკედილოთ აქესთ გადადებული! დასატრათ მივიწვიეთ, მაშინვე თოფს გვესვრიან, არა და წასხმენენ; რამდენჯერ გვიყურებია თვალით, ჩვენი საქონელი მიუდიოდათ და ახლო ვერ ვიკრებოდით.

— ბატონო, ჩვენ ზოგს კიდევ იმისთვის გვეშინიან, რომ სასამართლოში წავიყვანენ და გეკითხავენ, ერთხელ ხო არა, ორმოცჯერ მაინც; როგორ იყოვედ, სად იყოვედ, ნამდვილ-თ ქურდი იყოვედ, მოწმები გყავსო, რამდენ საათზედ იყოვედ, რა ეჭიროა, იქნება არ იპარავედა და ისე დასვირთობდა? აი ამისთანა გამოკითხვითა, რამდენჯერ აგვათრევენ და ჩაგვათრევენ, გვაცდენენ და გვალამებენ წუთი-სოფელს. მაგების მახვილი, ამისთანა საქეს-ხლოს-ლა მიეკარება? მთავლით რა ხედავდეს: კაცს ლუბავდენენ თათრები, თვალს მორიდებს და წავა; ის კი არ არის მიზეზი, რომ ჩვენ ერთობა არა გვაქვს და არ გვიყვარს, არამედ ჩვენი ტყუილ-უბრალოთ მოცდენა და თრევა სულებში. რამდენჯერ დაგვიჭერია თათარი, ჩაგვიყვანია ძალაქში და ერთი კვირის შემდეგ ისევე გამოუშვიათ.

რასაკვირველია, ხალხი არ სტყუოდა და მართალს ამბობდა, მაგრამ უ. უყენდის უფროსის საუბარი უმეტე-

სად ღირსია ყურადღებისა. მართლათაც, ყველა სოფლებს რომ ამორჩეული კაცები ჰყავდეს ამ გაჭივრების ღრსათვის, მაშინ თათრებიც დარწმუნდებოდნენ, რომ იმათ ეს ამორჩეულნი არაფერს არ შეარჩენდნენ. მაშა იმათ არ უყვართ თავი, განა იმათ მოსძულდობათ ცხობიერება! რაკი ისინი დაწმუნდებოდნენ, რომ იმათი გულისთვის არიან ამორჩეულნი ქართველები, რომლებიც იმათ არ დაზოგავდნენ, მაშინ გაუთონოდებოდნენ; თუ არა, ამ ანდაზისა არ იყვეს: „სოფელი ვნახე უძლოო, შავ გავიარე უჯობოო.“ — ვინ უხდებათ იმათ წინაღობდები, რომ შინაშოლონ ამ გვარი მოქედება?

შე უფროსმა ბევრი კარგი აზრები წარმოსთქვა დარგების სახით. ხალხი კმაყოფილი დარჩა. დათხოვა ხალხი და მარე უბრძნა: ვისაც რა საჩივარი გაქვთ, წარმოსდგეთო. საკუთო მომჩივარი წარმოსდგენ; ზოგი მამასახლისს უჩიოდა და ზოგნიც მსაჯულებს. სხვათა შორის წარმოსდგა ერთი მოხეტეული გლეხი პატარძელულიდან და მართთა რუსულათ დაწერილი ქაღალდი. შე მაზრის უფროსმა მაშინვე გადააელო თვალი და გამოჰკითხა საქმე. მოხეტეულმა მოახსენა: „ბატონო, ლუბერსკის უბრაველენიამ ჩემ სახარგებლოთ გასასწყვიტა, რა ჩემს მოწინააღმდეგეს უნდა წართმევიყო და მე ჩამბარებოდა. მამასახლისი კი შესულიყო ჩემს სახლში და ხალიჩა გამოეტანა. როცა მამასახლისს ვკითხე: ვისი ბრძანებით შენგელი სახლში და ხალიჩა გამოიტანე-მეთქი? იმან მითხრა: „პრისტაემა ნ. ნ.— შეიღმა სიტყვიერთა მიბრძანაო, რომ შენთვის წამერთმია და შენი მოწინააღმდეგისთვის ჩამბარებინაო.“ ამ დროს წარდგა უ. ნ.— შეილი და მაზრის უფროსს მოახსენა: „შ. ნაჩაღნიკო! ეს ისეთი კლიოზნიკი კაცია“, რომ ამის თაობაზე ორმოცჯერ მიინც გამომსგელია ლუბერსკის უბრაველენიიდგან პერები კა; ამის საქმე ისევე წარმოებს. შ. ნაჩაღნიკი მიუბრუნდა მოხეტეულს და ჰკითხა: შენ გქვს ლუბერსკის უბრაველენის გარდაწყვიტლობა, რომ შენ უნდა ჩაგბარებოდა? მაქვს, შენი ჭირიმე, მაქვს. — სადა გაქვს? — შინა, შენი ჭირიმე, შ. ნ.— რა სტყუოდე? — არა, შენი ჭირიმე, არა, დამსჯეთ. — მაშ კარგი, ყველა შენი ქაღალდები, შენც და მამასახლისიც ძალაქს ჩამოდეთ და იქ წარმოადგინეთ.

ამითა გათავდა საქმე და ნაჩაღნიკიც წავიდა ამა დღის ოთხ საათზედ.

ა. ქაველი

უცხო ქვეყნები

რუმის აგვანი. პარიჟიდან მოსული ტელეგრაფმა გაცნობებს, რომ თუმცა ინგლისი და რუსეთი ამ ჟამად დიდს მზადებაში არიან ომისათვის, მაგრამ აქ კიდევ იმედი არ დაკარგეთო, რომ ომი, შეიძლება, თავიდან აიცილონო.

ინგლისის წარმომადგენელი სტამბოლის კონფერენციაზე მარკიზი სალსბიური პარიჟში წასულა, სადაც საფრანგეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს—გერსოგ დეკსს—უნდა მოელოპარაკოს ახლანდელს პოლიტიკურ მდგომარეობაზედა. პარიჟიდან მარკიზი ბერლინს აპირებს წასვლას, სადაც აგრეთვე აღმოსავლ-

თის კითხვებზე თ. ბისმარკის წინადადება მოელოპარაკოსო.

ბიზნისი

სერბიიდან იწერებია, რომ ბელგრაღში დიდი უკმაყოფილება და განხეთქილება არის რუსებსა და თვითონ სერბიელებს შუა; რუსები თურმე სერბიელებს სიმხთალეს აბრალებენ; სერბიელებიც თავის მხრით ამტკიცებენ, რომ ჩვენი დამარცხება ღენრალ ჩერნიავეის უთაურობას ბრალი არისო.

საკუთრი ხალხი ისეთნაირად არის დამინებული ომისაგანო, იწერება ერთი კორესპონდენტი სერბიიდან, რომ ხელ-მეორეთ ომბიანობის გაგრძობაზე თავის დღეში არ დათანხმდებაო.

ს. პეტერბურღის უწყებებში შემდეგ ამბავს იწერებიათ ქავასილიამ: „პრუზიის მდინარიდან 17 ეერსზე, შარსის გზაზე, 80,000 მსამალოს ჯარია დაბანაკებული. მთალოსში მუდამ დღე ჯარები მოდიან და აქედამ მსამალოს სამზღვარისაკენ აგზავნიან.“

საბმრძნითი. უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრს უთქვამს საბერძნეთის პარლამენტში შემდეგი სიტყვა, როდესაც აღმოსავლეთის კითხვებზე ჩამოვარდნილა ლაპარაკი:

„ძნელი კი არა, შეუძლებელია, რომ თავისუფალმა საბერძნეთმა გულისგრილად უყუროს იმ ბერძნების მდგომარეობას, რომლებიც დღემდინ მსამალოს ხელ-ქვეით არიან და რომელთ ზედი ასე ნწარვა. იმ ბერძნებთან ჩვენ გვაერთებს და გვაკავშირებს ერთი საზოგადო ენა, ჩვეულება, ხასიათი და ნაციონალური ინტერესები. ამიტომ დედა-მიწაზე არ მოინახება ისეთი ძალა, რომელსაც შეცდლოს დაადუმოს ჩვენი გული და დაგვაკმაყოფილოს ჩვენ, სანამ ჩვენი დამონავეებული მოძმენი ისეთნაირადე არ იქნებიათ განთავისუფლებულნი, როგორათაც ჩვენა ვართ ახლა.“

საზრანგითი. მერსალში გაერცელებულია თურმე ამ ჟამად ხმა, რომ როგორც კი ნაციონალური პრეზა და სენატი სხელმწიფო ბიუჯეტს მიიღებენ, ღვიუჭორი იმ წამსვე გამოვა სამინისტროდამო, და იმის მოადგილეთ, ამბობენ, ზამბეტა დანიშნება ან ჰელ-სიმონი იუსტიციის მინისტრათ და სამინისტროს თავსმჯდომარედო.

მოგეყვას ერთი დოკუმენტი მარკის სოფლის საზოგადოებისა, რომელიდამაც დაინახეთ—თუ იქაური ტყის-მცველები დადებულ ბაჟის მაგიერ რამდენს ახდევინებენ. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ დოკუმენტს სრულ ყურადღებას მიაქცევენ ის უწყება, რომლის მოვალეობაც ეს ყურადღების მიქცევაა.

რედ.

ს ა კ ტ ი ჩოვის წელსა ოქტომბრის ი-ს დღესა. მაქიოს სასოფლო სასამართლომ მოისმინა მამასახლისის თანადასწრებითა, რომელ აღოზანს გაღმეად გამოუტანიათ ჩოა, და ყარულს ურთავეა ფული, ვგრეთვე ძორონისა საძოვარის ესე იგი საბალა-

ხის ბილეთები აუღიათ ღვესნიხისაგან და რაც გამოურთველია ის არ ჩაუწერნია ბილეთებში; ამისათვის ჩვენ სასამართლო გამოწვევით მათ მაგიერ თქმულსა საზოგადოებისაგან: 1) ზაქარია ხუციყვემა წარმოადგინა ბილეთი № 32, ამაში მივე ხუთმეტე თუ მან ი; მერვე ბილეთი № 46, ამაში მივეცი ათი მანეთი; ერთად ბილეთი ერთა საქენის შემისა № 32, შიშაში მივე ცხრა მანეთიო. დიკონი ზაქარია ხუციყვი *).

2) არსენ ნადაშვილმა და ისაკა ზიაშვილმა წარმოადგინეს საბალახოს ბილეთი № 41 და ერთად საქენის შემის ბილეთი № 311, მიუციათ ორი თუშანი; ხელს ვაწერ არსენა ნადაშვილი **).

3) მისა შოშიაშვილმა წარმოადგინა ბილეთი საბალახისა № 12-თა ცხრამეტი მანეთის და ორი შაურის; ამ ფულის მიცემაში მყენდა დათიკო შოშიაშვილიო და ხელს აწერს მისას ბაღლათა დათიკო შოშიაშვილი. დათიკო შოშიაშვილი ***).

ჩალის ხალხნი მანო დემეტრეშვილმა სთქვა, ოთხმოც კონა ჩალაში ათი შაური წამართვესო. ხელს ვაწერ მანო დემეტრეშვილი.

ლაზარე ბახუტაშვილმა სთქვა, ცხრა ურემი გამოვიტანე, ათი შაური მივეცო; ამის ბაღლათ ხელს აწერს.

ლაზარე ბეოტარაშვილმა გამოვიტანე სამი ურემი ჩალა, მანათი წაშართვესო.

სოლია შოშიაშვილმა ორ ურემ ჩალაში თერამეტი შაური მივეცო.

სოსე ბახუტაშვილმა ორ ურემ ჩალაში ათი შაური მივეცო.

ივანე სვიმონიშვილმა სთქვა, ცხრა ურემში ორი მანათი მივეცო.

ბიორგი პორიხაშვილმა სთქვა, სამ ურემში მივეცი შვიდი აბაზი.

დავით დემეტრეშვილმა, ოთხი ურემი გამოვიტანე და ორი მანეთი მივეცო ****).

ივანე ხატიაშვილმა, ერთი ურემი

*) ამ ბილეთის კვიტანციაში არის გამოცხადებული 100 მანეთი.

**) კვიტანციაში არის 14 მანეთი.

***) კვიტანციაში არის 9 მანეთი.

****) არის დადებული ჩალის ფული თუ არა? თუ არის დადებული რევრთი? პარგი იქნებოდა, რომ მიაციონ ყურადღება მესამე პარაგრაფს საღვესნიხო წესებისა, რომელიც არის დაბეჭდილი ბილეთების მეორე გვერდზე. იქ სწერია, რომ ტყის ყარაულს სრულვებით არა აქვს ნება თავის ხელით ხარჯის გამართვევისა.

ჩალა მომქონდა და ექვსი შაური მივეცო, რადგან მომტყულებული არა მომქონდა ფული, ნამგალი გამოართვეს, ცხელიც იქ არისო; ამისთვის ჩემს ბაღლათა და შემოთქმულ პირთ წერა არ იციან ამთ ბაღლათაც ხელს ვაწერ ივანე ხატიაშვილი.

მისა კვირიაშვილმა, ერთი ურემი ჩალა გამოვიტანე და ათი შაური მივეცო; რადგან წერა არ იცის ამის ბაღლათ ხელს აწერს ლაზარე ბეოტარაშვილი.

მსე შემოთქმულთ პურთა გამოაცხადეს თვით თავიანთ პირით და ხელის მოწერთა ამისთვის ჩვენ სასოფლო სუდია სოფლის პაქირისა გამოწვევით ჩვენის ხელის მოწერითა და ზედ დასმითა ბეჭდისათა.

სუდია დიმიტრი მასაშვილი (ბქ სოფლის მოსამართლის ბეჭედი)

სუდია ბიორგი სიყმიშვილი, რადგან ამთ წერა არ იციან, ამათის თხოვნით ხელს ვაწერ კანდიდატი დათიკო შოშიაშვილი. (ბქ მოსამართლის ბეჭედი).

მე პაქირის მამასახლისი გამოწვევთაშა შემოთქმულთ ხალხის ნათქვამს სიტყვასა ხელის მოწერითა ჩემითა და ზედ დასმითა ბეჭდისა. პაქირის მამასახლისი მოსე ათაბეგოვი (ბქ მამასახლისის ბეჭედი)

განცხადებანი

LA VELOUTINE (ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უშარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

პანს ეკვრება და არა სიანს.

შ. შაი — გამომგონი

pommade satin

(ატლასის კომადა)

ხელების კანის რბილად შესანახად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—78

ბიზიოგრაფიული განცხადება

ბუნების კარნი ი. ზოგებაშვილისა, მესამე შენესებული გამოცემა, სურათებით და საქართელო კარტით ბეჭდიდან გამოვიდა და ისიც დება სოლომონ პართანოვის წიგნების მალაზიაში. წიგნი წინეთ გამოცემაგებულ მეტია ექვსი ბეჭდის თაბახით და ღირს თხუთმეტი შაური, მაგრამ ვგზემპლიარი დაეთმობა: თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ ნაღდ ფულზედ იყიდის თხუთმეტ ვგზემპლიარსა, — ცამეტ შაურათ, ვინც იყიდის ოც-და-ათ ვგზემპლიარსა და სამ აბახათ, ვინც წაიღებს ას ვგზემპლიარსა.

აქვე ისყიდება დედა მნა, მისგანვე შედგენილი, ექვს შაურათა. ეს წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ სასწავლებლებს, როცა ერთათ ნაღდ ფულზედ იყიდის ოც-და-ათ ვგზემპლიარსა და კერძო პირებს, როცა ერთათ წაიღებენ ას ვგზემპლიარსა.

მისაც სურს ან ერთი, ან მეორეწიგნი ყდაში გადაკრული მიიღოს, უნდა ვგზემპლიარის ფასს დაუმატოს სამი შაური.

კვ. (5—4)

ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი

ამ ჟამად ქ. შუთაისში დაბინავებული, მიიღებს თფილისის სამოხამართლო პალატისა და შუთაისის მლქის სასამართლოს მოწმობების ძალით და აწარმოებს სამოქალაქოსა, სისხლის სამართლის და სამიჯნაეო საქმეებსა როგორათაც ხსენებულს სასამართლოებში, აგრეთვე მომრიგებულ მოსამართლეებთან შუთაისის გუბერნიისა, რისთვისაც თანახმა არის თფილისში და შუთაისის გუბერნიის უფლებში მისელა-მოსელაზედ საქმეების დსაცველად.

აგრეთვე მიიღებს მსვლელობას შუთაისის საადგილ-მამულო ბანკში მამულების დასაგირაგებლად.

მიიღებს მოდავეებს დლით 11 საათამდინ, საღამოზედ 5 საათიდან 8 საათამდინ.

ქ. შუთაისს, თფილისის ქუჩაზედ, შურთოშვილის სახლებში, პროგნმნაზიის პირ-და-პირ.

(10—5)

თფილისის სამკურნალო

(4 პარილის სახსოვრად)

ქიფენის მადანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღისვე 10 საათამდინ.

მრზაბათს: ექიმი მინკვიჩი — ხირურგიულ ავთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და მისიცივი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

სამშაბათს: პერმიშვილი და მარკარო-

ვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის, მამამშვი — თვალის ექიმი.

მთხზაბათს: მისიცივი — შინაგანი ავთმყოფ., მიუჩარინცი — ვენერიული ავთმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: პერმიშვილი შინაგან ავთმყოფობისათვის.

პარასკევს: მისიცივი და ასატუროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის და მინკვიჩი — ხირურგიულითვის.

შაბათს: პერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფი. მიუჩარინცი — ყურისა და ხირურგიულ ავთმყოფობისათვის და მამამშვი — თვალის ავთმყოფობისა.

გამოვიდა ბეჭდიდან შამოკლეული მხედრული ლოცვანი გამოცემული მღვდლის დ. ლამბაშიძისაგან და ისყიდება თბილისში: პართანოვის წიგნის მალაზიაში, შუთაისში: სიმონ ჩოქიანიძის ტიპოგრაფიაში და დ. შვირილაში თვითვე გამოცემის მღ. დ. ლამბაშიძისთან.

ლოცვანის შინაარსია:

- ა) დილის ლოცვანი,
- ბ) საყოველ დღეო ლოცვანი,
- გ) ლოცვა ძილად მისვლისა,
- დ) ლოცვანი და კეთილნი გულისა.
- ე) ზრახვანი მოსმენის დროს წირვისა.
- ვ) მცირე სერობა,
- ზ) პარაკლისი ღვთის მშობლისა,
- თ) სრული თვეთა მეთყველებადა
- თ). მოკლე ხელთა ჩუ წლამდე.
- უასი ყველგან ერთი აბაზი

რკ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცაცხლის გეგმები	ფოშტა	ბირჟა	მან.	კაპ	მაჟანდა	მან	კაპ
თფილისი	9 36	4 54			ა) შოთილამ მიდის:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 6 ნოემბ.			თფილისი, 13 ნოემბ.		
მცხეთა			68	38	მღვისსკენ — ხუთშაბათს დილით.	სამზღვარ გარეთ შუთაისს, რუსეთს				პური შორაგალის ფთ.	1	
ბორი	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს — კვირაობით, დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუღდ.				ქერი ფუთი.	65	
ხაშური	2	11 10	3 92	2 18	ბ) მღვსსკენ:	ოთხშ., მზურგეთს — პარასკ. და				ბამბა ქიფენისა, ფუთი.	5 20	
ბეჟათუბანი			4 42	2 46	შოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. პსაათ.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაუ. და				— ამერიკისა, ფუთი.	5 60	
ქვირილა			5 81	3 23	სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე	შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.				ბაქენტილი ბამბა ფთ.	8	
შუთაისი	8 23		6 75	3 75	შოთილამ:	თფილისისა და შოთისკენ — ყო-				მატყლი თუშური ფთ.	6	
სამტრედია			7 73	4 29	I	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-				— თარაქამისა ფთ.	4 60	
ახ.-სენაკი			8 57	4 76	II	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუღდის				პბრეშუმი ნუხური გრ.	2 60	
შოთი	11 44		9 75	5 42	III	— ოთხშაბ.				ქონი, ფუთი.	4	
შოთი	8 40				სახუშამდი . 4	ა) ბორი დამ.				ქონის სანთელი ფუთი.	5 60	
ახ.-სენაკი			1 18	66	3	ყოველგან ყოველ დღე, კვირას				სტეარინის სანთელი, ფ.	11 50	
სამტრედია			2 61	14	1	გარდა.				ხორცი ძროხისა, ლიტ.	45	
შუთაისი	11 51		3 41	69	2	ბ) შოთი დამ:				— ცხვრისა, ლიტრა.	50	
ქვირილა			3 98	21	3	ყოველგან ყოველ დღე, კვი-				სპირტი, ვედრო.	6 20	
ბეჟათუბანი			5 33	2 96	4	რას გარდა.				შაქარი, ბროც. ფუთი.	7 50	
ხაშური	5 41	1 65	5 84	3 24	5	წიგნის გაგზავნა რუსეთში				— ფხენილი ფუთი.	5 90	
ბორი	7 23	3 67	3 36	4 9	6	და სამზღვარ გარეთ:				ქვეა გრგვალი ფუთი.	18	
მცხეთა			9 85	4 1	7	ლა წიგნის				ხუთი ქუწჯუთისა ფთ.	6 20	
თფილისი	10 16	7 24	9 75	5 42	8	დაბეჭდილის (სამი მისხალი) .				მქრო 1/2 იმპერიალი.	6 98	